

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 1) 2004-2014 წლებში (ცალ-ცალკე) ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ 338-ე მუხლით (ქრთამის აღება) გამოვლენილი პირების სამსახურებრივი პოზიციების ჩამონათვალი იმ უწყებების მითითებით, სადაც ანხორციელებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას.
- 2) 2004-2014 წლებში (ცალ-ცალკე) ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ 220-ე მუხლით (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) გამოვლენილი პირების სამსახურებრივი პოზიციების ჩამონათვალი იმ უწყებების მითითებით, სადაც ანხორციელებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას.
- 3) 2004-2014 წლებში (ცალ-ცალკე) ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ 182-ე მუხლით (მითვისება ან გაფლანგვა) გამოვლენილი შემთხვევების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ დაუყოვნებლივ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი